ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N56

2024 წელი; 14 ივნისი; 10:30 სთ; **ქ. თბილისი**
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

არჩილ გორდულაძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ანა კილაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

1. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
4. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
5. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
6. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
7. ცირა შალოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურის ობიექტების მართვისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი;
8. თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:
არჩილ გორდულაძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ 202887787)

დაშლის / ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 194 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.686) და ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქ. №21- ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.20.01.173.503) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32-ში არსებული 16.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.036.022.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N339-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.006.01.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში არსებული 20.68 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.218) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით ირმა ღვინაშვილისთვის (პ/ნ: 01006018823) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეათანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის“ (ს/ნ: 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.014.109) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988)

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

22. „ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რკინიგზასა ქუჩა N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.011.127, ფართობი - 4 953 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N345 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

27. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

28. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

30. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, კერძოდ, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 1 490,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 490,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 009 879,6 ათას ლარს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები; ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები ნაწილდება შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა - 6 000,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 160,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში - 400,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში - 300,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში – 60,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში – 500,0 ათასი ლარით;
- ბიზნესის სტიმულირება - 336,0 ათასი ლარით;
- თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 200,0 ათასი ლარით;
- თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 100,0 ათასი ლარით;

- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში - 80,0 ათასი ლარით;
- ვაკის რაიონის გამგეობა - 50,0 ათასი ლარით;
- მთაწმინდის რაიონის გამგეობა - 200,0 ათასი ლარით.

მომხსენებლისვე მითითებით, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ჩამონათვალს ემატება შემდეგი ახალი პროგრამები: თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება - 1 300,0 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა ასევე იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, რომელთა ასიგნებების შემცირება არის გათვალისწინებული წარმოდგენილი პროექტით, შემდეგი სახით:

- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 3 000,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში - 160,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში – 400,0 ათასი ლარით;
- თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 236,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში - 700,0 ათასი ლარით;
- „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) – 700,0 ათასი ლარით;
- თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება - 2 000,0 ათასი ლარით;
- თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება - 3 000,0 ათასი ლარით.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში, კერძოდ: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით. **შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4881 ერთეულით.**

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 809 844,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 739 744,7 ათასი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 009 879,6 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 35 038,9 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 165 096,0 ათასი ლარით. **მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა,** რომ დადგენილების **პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ, „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (შემდგომში - „წესი") ცვლილების განხორციელებას.

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტის მიღების მიზეზებზე და აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ცვლილების საჭიროება განაპირობა ქვეპროგრამის ფარგლებში მიმართვების ადმინისტრირების ელექტრონული მოდულის დანერგვამ. კერძოდ, **მომხსენებლისვე მითითებით,** აღნიშნულ მოდულზე გადასვლამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ხორციელდებოდა მონაცემთა მიმოცვლა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა დახმარების გაცემის წინა თვის ბოლოს არსებული მონაცემების გადამოწმებას, თუმცა ელექტრონულ მოდულზე გადასვლამ, ხელმისაწვდომი გახადა დახმარების გაცემის თვის პირველი რიცხვის მდგომარეობის ამსახველი მონაცემების გადამოწმებაც; შესაბამისად, წესში ცვლილებების ასახვის შემდგომ, სამსახური არა დახმარების გაცემის წინა თვის, არამედ გაცემის თვის პირველი რიცხვის მონაცემებს დაეყრდნობა.

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე, ამასთანავე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით

გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამის განხორციელების წესში (შემდგომში - „წესი“) შინაარსობრივი და რედაქციული ხასიათის ცვლილებების განხორციელებას.

მოხსენების დასაწყისში, თამარ ბერუაშვილმა ისაუბრა დადგენილების პროექტის მიღების მიზეზებსა და მიზნებზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება განპირობებულ იქნა ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის სამუშაო პროცესში გამოვლენილ მოთხოვნათა მრავალფეროვნებით, რომლის მიზანია, ტერმინთა განმარტებების მეტად გასაგებად ჩამოყალიბება, ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების დაზუსტება, განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურებში მეტი სიცხადის შეტანა, შემთხვევათა ელექტრონული რეესტრის ფორმირებისა და წარმოების სამართლებრივი მოწესრიგება, რათა უფლებამოსილ კომპეტენტურ უწყებათა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წესის მე-2 მუხლში „ტერმინთა განმარტება“ შედის ცვლილება და განსხვავებულად ყალიბდება „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის ცნება:

„მიმწოდებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების მიწოდებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა, ასევე საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაცია, სადაც შესაძლებელია მოსარგებლე პირის მიერ დასაფინანსებლად მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურების მიღება.“

აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმწოდებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ისეთი დაწესებულება, რომელსაც „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მინიჭებული აქვს შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა.

მომხსენებლისვე მითითებით, ამავე მუხლში, გაჩნდება ისეთი ტერმინების განმარტებებიც, როგორებიცაა: „გადაწყვეტილების ნაწილობრივ განაღდება“ და „თავშესაფარი, რამაც განაპირობა მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციული ცვლილებაც.

როგორც თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვა საჭიროების, კერძოდ, მედიკამენტების დაფინანსებისას, აფთიაქის მხრიდან ხდება მათი ნაწილობრივ გაცემა (განაღდება), რაც ასევე საჭიროებს ელექტრონულ რეესტრში ასახვას, აღნიშნული ეტაპის გამოტოვება კი პრაქტიკაში წარმოშობს ხარვეზებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სწორედ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის“ ბენეფიციარები წარმოადგენენ იმ პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლებზეც არ ვრცელდება წესის ზოგიერთი მოთხოვნის მოქმედება. შესაბამისად, აუცილებელია მათი გამიჯვნა „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ სხვა ბენეფიციარებისაგან.

როგორც თამარ ბერუაშვილმა განმარტა, ცვლილება შედის ასევე წესის მე-4 მუხლში და ჩნდება დამატებითი ჩანაწერი მედიკამენტისგან განსხვავებული სხვა საჭიროებათა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, **საჭიროებათა**

ჩამონათვალი არ უნდა აღემატებოდეს 8 სავაჭრო დასახელებას. აგრეთვე, წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„თავშესაფრის ბენეფიციარებს ქვეპროგრამით სარგებლობა ასევე შეუძლიათ მიმწოდებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე."

მომხსენებლისვე მითითებით, აღნიშნული პუნქტის კორექტირების საჭიროება განპირობებულ იქნა ისეთი გარემოებით, როდესაც თავშესაფრის ბენეფიციარებს ესაჭიროებათ, მაგალითად, მედიკამენტებით მკურნალობა, თუმცა, აფთიაქი ვერ გასცემს მედიკამენტს ადგილზე ანგარიშსწორების გარეშე და საჭიროა მოთხოვნა განხილულ იქნას კომისიური წესით, მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელსაც განიხილავს „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისია" (შემდგომში - „კომისია") და გასცემს რეკომენდაციას დაფინანსების შესახებ, რის შემდგომაც, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება ამ წესის შესაბამისი მუხლით დადგენილი პროცედურის საფუძველზე.

თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილებები შედის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტშიც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - „სამსახური") მიერ **განაცხადის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლების „გ.ბ", „გ.გ", „გ.დ" და „გ.ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდება განსხვავებული რედაქციით.** გარდა ამისა, წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

სამსახური განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თუ:

„გ.ვ) სამედიცინო მომსახურება/სხვა საჭიროება დაფინანსებულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სრულად, თუმცა პირი ითხოვს სხვა არასამედიცინო სერვისების, მათ შორის, ექიმის ჰონორარის, VIP პალატის და სხვათა ანაზღაურებას."

როგორც თამარ ბერუაშვილმა განმარტა, აღნიშნული ჩანაწერის არსებობა წესში, განაპირობა ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც მოთხოვნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია სრულად, თუმცა მოსარგებლე ითხოვს ისეთი არასამედიცინო სერვისების ღირებულების ანაზღაურებას, როგორებიცაა: ექიმის ჰონორარი, VIP პალატა და სხვა.

მომხსენებლისვე მითითებით, სიახლეს წარმოადგენს ასევე წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ი" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, სამსახური განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო ისეთი მედიკამენტების დაფინანსების მოთხოვნისას, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სრულად ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2024 წლის 07 თებერვლის ბრძანების N1 დანართით დამტკიცებულია „ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნუსხა", რომლებიც სრულად ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და აღარ არსებობს კომისიის მიერ მსგავს მოთხოვნათა განხილვის საჭიროება.

ასევე, როგორც თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა, წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტს ემატება „გ.კ.ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან თავშესაფრის ბენეფიციარები მიეკუთვნებიან პრიორიტეტულ ჯგუფს, წესის ფარგლებში, მათზე არ ვრცელდება ბოლო დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ხელახალი განცხადების წარმოდგენამდე განსაზღვრული 3-თვიანი ვადა.

მომხსენებლისვე მითითებით, ცვლილებას განიცდის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.კ.გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

თუ კომისიის მიერ განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირის ბოლო დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ახალი განცხადების/მოთხოვნის მერიაში/მოდულში რეგისტრაციის თარიღამდე გასულია არაუმეტეს 3 თვისა, სამსახური იღებს განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, გარდა:

„გ.კ.გ) იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება, რომ პირის მიერ არ მომხდარა დაფინანსებული თანხის გამოყენება და წარმოდგენილია თავდაპირველად დაფინანსებულისგან განსხვავებული შინაარსის მოთხოვნა (აღნიშნული გამონაკლისი ვრცელდება ასევე მიმწოდებლის მხრიდან მედიკამენტის მარაგის არქონით განპირობებულ შემთხვევებზე)“.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერის წესში გაჩენით, არ დაფინანსდება ისეთი მოთხოვნები, რომლებზეც კომისიამ უკვე გასცა დადებითი რეკომენდაცია, თუმცა მოსარგებლეთა მხრიდან არ მომხდარა მათი გამოყენება, მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზით და წესით განსაზღვრული 3-თვიანი ვადის ამოწურვამდე, განმეორებით წარმოადგენს ანალოგიური შინაარსის მოთხოვნას.

აგრეთვე, როგორც თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა, წესის მე-5 მუხლის მე-6 და მე-8 მუხლის მე-6 პუნქტებმა განიცადა რედაქციული ცვლილება, ხოლო მე-6 მუხლს მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატება შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის მოდულში ატვირთვისთვის დადგენილი ვადების ცვლილება დასაშვებია, მხოლოდ მოდულში ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო დროით.“

მომხსენებლის მითითებით, აღნიშნული ჩანაწერის მიზანია, მოდულში ტექნიკური ხარვეზის არსებობისას, არ შეიქმნას წესით დადგენილი ვადების ათვლის პროცესში შეფერხება და მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის მოდულში ატვირთვისთვის განსაზღვრულმა ვადამ, გადაიწიოს სწორედ ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო დროით.

ასევე, როგორც მომხსენებელმა დასძინა, წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ, დაემატება შემდეგი შინაარსის 3^1, 3^2, 3^3, 3^4 პუნქტები, რომლის მიხედვითაც განიმარტება ელექტრონული რეესტრის წარმოების პრინციპი:

„3^1. სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების (გარდა მედიკამენტებისა) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევებში ელექტრონული რეესტრი წარმოებს მოთხოვნის გააქტიურების/განაღდების საფუძველზე.“

„3^2. მედიკამენტების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში ელექტრონული რეესტრი წარმოებს მხოლოდ განაღდებული ან ნაწილობრივ განაღდებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.“

„3³. შემთხვევათა ელექტრონულ რეესტრში დოკუმენტაციის ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურების/განაღდების/ნაწილობრივ განაღდების შემთხვევაში.“

„3⁴. თანხის ასანაზღაურებლად მიმწოდებელმა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს, როგორც ელექტრონულ მოდულში ატვირთვის გზით, ისე კანცელარიის მეშვეობით, ამასთან ელექტრონულად და მატერიალურად წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს იდენტური. სხვა შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.“

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით განისაზღვროს დადგენილების ძალაში შესვლის თარიღი და დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე; ასევე, **სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, წესის მე-4 მუხლის გ.კ.გ) ქვეპუნტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ცირა შალოშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების / აღდგენის / რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წესის მე-6 მუხლის 2¹ პუნქტს დაემატება პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წელზე ადრე მისი მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვის საგამონაკლისო შემთხვევა - თუ საზოგადო მოღვაწეს მინიჭებული ჰქონდა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება და აღნიშნული ნორმა ჩამოყალიბდება შესაბამისი რედაქციით.

ცირა შალოშვილმა ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზანზე და აღნიშნა, რომ პროექტით გათვალისწინებული ცვლილების მიზანია თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მქონე პირებთან დაკავშირებით, საგამონაკლისო წესით მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვა შესაძლებელი გახდეს მათი გარდაცვალებისთანავე, რაც განპირობებულია თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მნიშვნელობით, რადგან ეს წოდება ენიჭებათ მათ თბილისის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისთვის.

მოხსენების მიწურულს, ცირა შალოშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობასა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. არჩილ გორდულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას სამმხრივი, ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, 2024 წლის 15 მაისს საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან დაკავშირებით“ 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ევროზე და ასევე საგრანტო შეთანხმებას „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან“ დაკავშირებით 4 000 000 (ოთხი მილიონი) ევროზე;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არჩილ გორდულაძემ დასძინა, რომ ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ევროს, სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მოხსენების მიწურულს, არჩილ გორდულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ წინამდებარე პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის N 24.917.1043 განკარგულებით მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. არჩილ გორდულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის სამმხრივი ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, 2024 წლის 20 თებერვალს, საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტთან" დაკავშირებით ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ევროზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის დაიდო პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის კი ხელი მოეწერა პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არჩილ გორდულაძემ დასკვნის სახით დასძინა, რომ წარმოდგენილი ქვესასესხო ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ევროს, სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად; თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას კომპანიისთვის.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. არჩილ გორდულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული**, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

აზრი გამოთქვეს:
არჩილ გორდულაძემ, კომისიის წევრებს შესთავაზა საკითხის უკეთ შესწავლისა და ანალიზის მიზნით საკითხის გადადება.

არჩილ გორდულაძის რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სხდომის დღის წესრიგის მე-7 საკითხის გადადებას.

მოისმინეს:

8. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია ზემოთ მითითებული დადგენილების „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, ცვლილება შედის დადგენილების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ ქვეპუნქტში ხორციელდება ტერმინოლოგიური/რედაქციული ხასიათის ცვლილება. კერძოდ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობების ნაცვლად, მოსაკრებლის გადახდა განისაზღვრება სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე, ასევე ზუსტდება სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობების სახეობები და მოსაკრებლის გადახდის სუბიექტებად განისაზღვრება: სამორინეს თამაშობები, სათამაშო აპარატების თამაშობები, ტოტალიზატორების თამაშობები; რაც შეეხება მოსაკრებლის ოდენობას, იგი უცვლელი რჩება და შეადგენს 300 000 ლარს კვარტალში.

მომხსენებლისვე მითითებით, ცვლილება შედის ასევე დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ ქვეპუნქტში ხორციელდება რედაქციული ხასიათის ცვლილებები და ტერმინი: „ნებართვით“ იცვლება ტერმინით - „ნებართვის საფუძველზე“, ხოლო ტერმინი - „მოწყობილი“, იცვლება ტერმინით - „ორგანიზებული“, მოსაკრებლის ოდენობა რჩება უცვლელი და აღნიშნული ქვეპუნქტის შესაბამისად, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის საფუძველზე ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს - 20 000 ლარს კვარტალში.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე, ამასთანავე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული**, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“, რომლის დამფუძნებელი, ერთადერთი პარტნიორი და საწესდებო კაპიტალში 100%-ის მფლობელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს სპეციალური ნებართვის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა მის მიერ დამზადებული სისხლით, მისი კომპონენტებითა და პრეპარატებით, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩატარება და სხვა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქმედი სისხლის დაწესებულება (სისხლის გადასხმის დაწესებულება/სისხლის ბანკი), რომელიც ფუნქციონირებს „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 21 მარტის კანონისა და სათანადო სამართლებრივი აქტების შესაბამისად, **ვალდებულია 2024 წლის 1 ივლისამდე დარეგისტრირდეს ამ კანონით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.**

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 1 ივლისამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში იგეგმება ა(ა)იპ - „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნება, რომლის ძირითადი ფუნქციები, „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სამედიცინო სფეროში იქნება:

- მიღებული სპეციალური ნებართვის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა მის მიერ დამზადებული სისხლით, სისხლის კომპონენტებით და პრეპარატებით;
- სამკურნალო დახმარება;
- კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები;
- სამედიცინო პროფილაქტიკა;

- სამედიცინო რეაბილიტაცია;
- სრულყოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მეთოდები და პირობები, საქართველოში გამოყენებისთვის ნებადართული სამკურნალო პრეპარატების და სამკურნალო მეთოდების ფარგლებში;
- სააგენტოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი იქნება დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს, არაუმეტეს 3 (სამი) წლისა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

მოხსენების მიწურულს, სერგომ ბირკაძემ შეჯამების სახით დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია - ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნება და **ამასთანავე, მიუთითა,** რომ განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც შინაარსობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით იდენტურია დღის წესრიგის მე-9 საკითხისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:**

- **შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ ყველა აქტივისა (მათ შორის: უზუფრუქტის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება, მოთხოვნის უფლებები და სხვა) და ყველა პასივის ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურისთვის“ გადაცემა.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე **194 კვ.მ** და ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქ. N21-ის მიმდებარედ არსებული **158 კვ.მ მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, პრივატიზებაზე,** შპს „სეტანტა სპორტს მედიას“ საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქუჩა N21-ში მდებარე

227 კვ.მ და ქ. თბილისში, წყნეთში მდებარე **168 კვ.მ მიწის ნაკვეთების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.**

მოხსენების დასაწყისში, ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა შპს „სეტანტა სპორტს მედიას" წარმომადგენელმა ლაშა მაჭავარიანმა, რომლის თანახმადაც, კომპანიის საკუთრებაში არსებულ ზემოხსენებულ უძრავ ქონებაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე **ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო დღეის მდგომარეობით, ვრცელდება სატყეო ზონა.** აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიას შეეზღუდა მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განცხადებით კომპანიამ მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაცვლა მომიჯნავედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაში.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, სსიპ ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყო მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნიდან გამომდინარე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსგან ითხოვა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებების დადგენა.

მომხსენებლისვე მითითებით, ექსპერტიზის ბიუროს 2024 წლის 20 მარტის დასკვნის შესაბამისად, შპს „სეტანტა სპორტს მედიას" საკუთრებაში არსებული, 227 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ 2024 წლის 20 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **132 341 ლარი**, ხოლო 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ შეადგინა **97 944 ლარი.** ამავე დასკვნის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 194 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა **126 294 ლარი** და 158 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ კი საორიენტაციოდ შეადგინა **92 114 ლარი.** შესაბამისად, **შპს „სეტანტა სპორტს მედიას" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური ღირებულება (230 285 ლარი) აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამურ ღირებულებას (218 408 ლარი).**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „სეტანტა სპორტს მედიას" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, დამკვეთის მოთხოვნით, შეფასდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე არსებული **ფუნქციური ზონის - სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გათვალისწინებით.** ამავდროულად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე დაყრდნობით, **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 1-ს (სზ-1).**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 6 მარტის წერილის შესაბამისად, ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების განკარგვა და სანაცვლოდ, შპს „სეტანტა სპორტს მედიას" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება.

მომხსენებლისვე მითითებით, 2024 წლის 8 აპრილს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „სეტანტა სპორტს მედიას“ წერილი, რომლის შესაბამისად, კომპანიამ განაცხადა თანხმობა ადგილმონაცვლეობაზე და ვინაიდან, მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებათ არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის მიზნით და გამწვანებული ტერიტორიის შენარჩუნების კონცეფციის შესაბამისად, მუნიციპალური და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია წარდგენილი საექსპერტო შეფასებები. ამასთანავე, გასაფორმებელი ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, **პრივატიზების პირობად განისაზღვრება: მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით.**

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის N24.812.911 განკარგულებით გათვალისწინებული, ქ. თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქ. N11-ში, მე-11 სართულზე არსებული 75 კვ.მ ფართობის N152 ბინის ხათუნა მათიაშვილისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შემდეგი პირობების შესაბამისად:**

- ხელშეკრულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში -„სააგენტო“) საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ხოლო, აღნიშნულის სანაცვლოდ, ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, მის საკუთრებაში არსებულ, ავარიული მდგომარეობის მქონე ფართს;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება სიმბოლური ფასით - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და მისი გადახდა ქონების შემძენის

მიერ განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უსასყიდლოდ, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, გადაეცეს არაუგვიანეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადასაცემ ფართზე ქონების შემძენის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მიბმული ვალდებულების რეგისტრაციის დღისა;
- სააგენტო ქონების შემძენს გადაუხდის გადაცემული უძრავი ქონების რემონტისთვის 1 კვ.მ-ზე 286 ლარს, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე, 1.3 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის შემდგომ 3 (სამი) თვის ვადაში, უძრავი ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით;
- ქონების შემძენმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ფაქტობრივად უნდა გამოათავისუფლოს და ფაქტობრივად გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ამავე ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ;
- ქონების შემძენისთვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება მას გადაეცემა ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით;
- ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება;
- ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადაცემით, იგი უარს აცხადებს ამ ქონებასთან ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან გამომდინარე სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, მათ შორის, სხვა უძრავი ქონების ან/და სხვა მატერიალური სიკეთის მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, უარს აცხადებს აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერ საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ მოქალაქე ხათუნა მათიაშვილი საკუთრებაში ფლობს ქალაქი თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მას. VIII კვ. კორპუსი N1-ში მდებარე 73.56 კვ.მ ბინას და ამავე მისამართზე არსებულ 12.82 კვ.მ სარდაფს. ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალურის ლაბორატორიის“ 2018 წლის 19 ნოემბრის დასკვნით შეფასებულ იქნა აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა, სადაც აღნიშნულ იქნა, რომ **შენობის ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების II ხარისხს.**

მომხსენებლისვე მითითებით, 2023 წლის 2 აგვისტოს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში სამგორის რაიონის გამგეობის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე ბინა N21,24,18-ში ძირითადი გამაგრება-გაძლიერების კონსტრუქციების მოწყობის შედეგად არ დასრულებულა ბინების შიდა სარემონტო სამუშაოები, რაც ასევე დადასტურებულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალიტეტის

ლაბორატორიის ზემოხსენებული დასკვნით, რადგანაც პროექტში არ იყო გათვალისწინებული არსებული ბინების შიდა სარემონტო სამუშაოები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, 2013 წლიდან დღემდე სამგორის რაიონის გამგეობას უწევს სამი ოჯახის (1. ხათუნა მათიაშვილი; 2. ქეთევანი ჩხიტაძე 3. შმაგი ტალახაძე) საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილება, ხოლო საცხოვრებელი ბინების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სხვადასხვა ფრაგმენტებში ფიქსირდება სხვადასხვა მიმართულების გამჭოლი ბზარები, იატაკზე მოწყობილი ფილები დაძრულია ქარხნული მდებარეობიდან. დღეის მდგომარეობით, 3 ოჯახი არის გადაყვანილი ქირით და ადგილობრივი გამგეობის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1700 ლარს (სამ ოჯახზე) – ჯამში 2013 წლიდან დღემდე 204000 ლარამდე არის გამოყოფილი ქირის საკომპენსაციო თანხის დასაფარად. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სამგორის რაიონის გამგეობის 2024 წლის 23 აპრილის წერილით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ეთხოვა მოქალაქე ხათუნა მათიაშვილისთვის ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან გადასაცემი საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოებისთვის **თანხის გამოყოფა 21 450 ლარის ოდენობით.**

ირაკლი თავართქილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ, 2022 წლის 26 ოქტომბრის წერილით ეცნობა პასუხი, კითხვაზე - ძველ თბილისში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისას თუ რა ოდენობის თანხა გაითვალისწინება 1კვ.მ-ზე, თეთრი კარკასის მდგომარეობიდან გარემონტებულ მდგომარეობამდე მიყვანისას, შემდეგი სახით: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ქ. თბილისი, ათონელის ქუჩა N17, ათონელის ქუჩა N20 და ფხოვის ქუჩა N3-ში მდებარე უძრავი ქონებების სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ხსენებულ ობიექტებზე სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების საშუალო ფასი სამივე ობიექტისათვის **1 (ერთი) კვადრატულ მეტრზე შეადგენს 286.20 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის N24.812.911 განკარგულების, ხოლო პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე სათაურისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N42-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების (ჯამურად: 132.4 კვ.მ) მოქ. ჯულეტა ფარადიანისა და არტემ მარქარიანისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა საკითხის წარდგენა იმ ფაქტობრივი გარემოებების აღნიშვნით დაიწყო, რომლებმაც განაპირობეს წინამდებარე განკარგულების პროექტის შემუშავება, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით, ჯულეტა ფარადიანს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაეცა სახელმწიფო საბინაო ფონდის საცხოვრებელი იზოლირებული ბინა N49, საერთო ფართით - 84.72 კვ.მ, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპუსი N34 (ე.წ. „წითელი აგურების კორპუსი“);
- ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით, არტემ მარქარიანს გამოეყო იზოლირებული საცხოვრებელი ფართი, საერთო ფართით - 42.0 კვ.მ, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3, II მიკრორაიონი, კორპუსი N35, პირველი სადარბაზოს მე-5 სართული (ე.წ. „წითელი აგურების კორპუსი“);
- უფლების დამდგენი დოკუმენტების გამოცემის დროისთვის, „წითელი აგურების კორპუსები“ იყო მშენებარე მდგომარეობაში, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ აღნიშნულ კორპუსებში თვითნებურად შესახლებულმა ფიზიკურმა პირებმა ზემოხსენებული უფლების დამდგენი დოკუმენტებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართები დაიკავეს, რის გამოც დაინტერესებულ პირთათვის ზემოთ მითითებული ფართების საკუთრებაში გადაცემა ვერ განხორციელდა.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა წერილობითი განცხადებებით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვეს მათ საკუთრებაში არსებული ზემოხსენებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N42-ში მდებარე 66.2 კვ.მ ფართობის N317 და N320 ბინების საკუთრებაში გადაცემა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დაინტერესებულ პირთათვის გადასაცემი ფართები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა სხვადასხვა კომპანიის მიერ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების გამო მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების სანაცვლოდ. შესაბამისად, აღნიშნულ კომპანიებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის 2021 წლის 9 თებერვალს დადებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებში“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლეებად განისაზღვრებიან ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირთათვის განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების გადაცემას **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:**

- ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი უარს ამბობს უფლების დამდგენი დოკუმენტის, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე:
- მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართებთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.
- სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.
- მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.
- ქონების იმ შემძენმა, რომლის საკუთრების უფლება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის რეგისტრირებულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უზრუნველყოს აღნიშნულ ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ქონების შემძენის მიერ უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ამ პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.
- ქონების ის შემძენი, რომელიც უფლების დამდგენი დოკუმენტებით მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართთან დაკავშირებით, უარს ამბობს აღნიშნულ განცხადებაზე/საჩივარზე/სარჩელზე და უზრუნველყოფს აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32-ში, მე-2 სართულზე მდებარე 16.40 კვ.მ უძრავი ქონების **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზების გზით,** მოქალაქე ზაზა ჯანიბეგაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე **19 წელია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ისნის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებიდან ირკვევა, რომ **ზაზა ჯანიბეგაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული არ არის.**
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილების თანახმად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს **დევნილთა მონაცემთა ბაზაში ზაზა ჯანიბეგაშვილი და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებული არ არიან.**

შეჯამების სახით, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 141.59 კვ.მ) თვითნებურად მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- **ციალა ძველიშვილს გადაეცემა 74.05 კვ.მ ფართი, ხოლო ივანე ზარიძეს 67.54 კვ.მ ფართი.**

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირები **2012 წლიდან დღემდე** ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ დაინტერესებულ პირებზე **საკუთრების უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტირებული არ არის.**

შეჯამების სახით, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N339-ში, მერვე სართულზე არსებული 88.74 კვ.მ უძრავი ქონების **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად,** მოქალაქე ლევან ლატარიასთვის **საკუთრებაში გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე **1995 წლიდან დღემდე ნამდვილად** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე, კორპუსი N5-ში, მე-7 სართულზე მდებარე, 20.68 კვ.მ ფართობის N218 ბინის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,** მოქალაქე ზურაბი გორგაძისთვის **საკუთრებაში გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **15 წელია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ვაკის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, · შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილის თანახმად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს **დევნილთა მონაცემთა ბაზაში ზურაბი გორგაძე რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამის უწყებათა შორის ჩატარებული სამუშაოების შედეგად, **სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 24 აპრილის ბრძანების თანახმად, აღნიშნული ქონება დამატებითი ქონების სახით გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში მდებარე 2 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების **პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით,** ირმა ღვინაშვილისთვის გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და **აქვე დასძინა,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 23 აპრილის წერილის თანახმად, აღნიშნული უწყება ზემოხსენებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის წინააღმდეგი არ არის.

მომხსენებლისვე განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 მაისის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური **საბაზრო საიჯარო ქირა 2024 წლის 15 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 288 ლარით.**

ირაკლი თავართქილაძემ აქვე დაამატა, რომ დაინტერესებულ პირს საკუთრებაში აქვს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქალაქ თბილისში, კანდელაკის N2-ში მდებარე უძრავი ქონება.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარი.**

მოისმინეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე, 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **პირდაპირი განკარგვის წესით,** შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის" **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანის" წარმომადგენელმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, 25 წლის ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად. **ირაკლი თავართქილაძემ აქვე დამატებით აღნიშნა,** რომ განმცხადებელმა საიჯარო ქირის ოდენობის თანხმობის წერილში, ასევე დააზუსტა მოთხოვნა და საიჯარო ვადის განსაზღვრა ნაცვლად 25 წლისა ითხოვა 5 წლით.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2024 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით, **დადებითი შეფასება მიეცა 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს,** ხოლო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 მაისის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის **წლიური საბაზრო საიჯარო ქირა,** 2024 წლის 15 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **9 600 (ცხრა ათას ექვსასი)** ლარის ოდენობით.

ამასთანავე, მომხსენებლის განმარტებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ამავე მისამართზე - კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე უძრავი ქონება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის განკარგულებით, **იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება - 5 (ხუთი) წლის ვადით,** ხოლო საკითხის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზურნველყოფს აღნიშნულ განკარგულებაში მითითებული უძრავი ქონების დაინტერესებული კომპანიისათვის, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის **პირდაპირი განკარგვის წესით,** შპს „ორიგინალი +"-ისთვის, **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის** თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით მიმართა შპს „ორიგინალი +"-ის წარმომადგენელმა და ითხოვა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის განმეორებით იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, კომპანიას იჯარით ჰქონდა მიღებული 3 წლით, სააგენტოს 2020 წლის 27 მაისის ბრძანებით. **ირაკლი თავართქილაძემ აქვე დასძინა,** რომ წარმოდგენილი უძრავი ქონების ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ქონებას, ქ. თბილისში, ვეკუას ქ. N49-ში.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციების თანახმად, აღნიშნული უწყებები არ არიან ზემომითითებული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგნი, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35-ე მუხლის მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ირაკლი თავართქილაძემ დამატებით დასძინა,** რომ სააგენტოში კომპანიის მიერ წარდგენილი პოზიციის მიხედვით, ღია კაფეს განთავსებისას კომპანია გაითვალისწინებს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და სხვა სამსახურების წერილებში აღნიშნულ მოთხოვნებს.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 მაისის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის, **წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა,** 2024 წლის 15 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **11 000 (თერთმეტი ათასი)** ლარის ოდენობით, ხოლო ქალაქ თბილისის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის განკარგულებით, **იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლით.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზურნველყოფს აღნიშნულ განკარგულებაში მითითებული უძრავი ქონების დაინტერესებული კომპანიისათვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის, **ღია კაფის მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით,** ზუხრა ტატიშვილისთვის **იჯარის ფორმით გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა ზუხრა ტატიშვილმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. **ირაკლი თავართქილაძემ აქვე დასძინა,** რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, აღნიშნული დაინტერესებული პირი საკუთრებაში ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N47-ში მდებარე უძრავ ქონებას.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით, **დადებითი შეფასება მიეცა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს,** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 აპრილის წერილის თანახმად, აღნიშნული უწყება ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, **თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.**

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 მაისის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის **წლიური საბაზრო საიჯარო ქირა,** 2024 წლის 15 მაისის მდგომარეობით, **საორიენტაციოდ განისაზღვრა - 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ზუხრა ტატიშვილისთვის გადაცემა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით;**
- **საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N67-ში არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის **პირდაპირი განკარგვის წესით, აღნიშნულ**

მიწის ნაკვეთზე არსებული პანდუსის შემდგომი გამოყენების მიზნით, სს „თიბისი ბანკისთვის“ **იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით მიმართა დავით მაჭარაშვილმა და ითხოვა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის **განმეორებით იჯარის გადაცემა,** აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე **არსებული პანდუსის შემდგომი გამოყენების მიზნით. ირაკლი თავართქილაძემ აქვე დასძინა,** რომ აღნიშნულ იურიდიულ პირს მიწის ნაკვეთი **მიღებული ჰქონდა იჯარის უფლებით მის სარგებლობაში არსებულ ფართში პანდუსის მოწყობის მიზნით,** თუმცა არსებულ სარგებლობას **გაუვიდა ვადა.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციების თანახმად, აღნიშნული უწყებები არ არიან მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგნი. **ამასთანავე, ირაკლი თავართქილაძემ დამატებით აღნიშნა,** რომ წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 30 მაისის დასკვნა, რომლის თანახმად დაინტერესებაში არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის **წლიური საბაზრო საიჯარო ქირა,** 2024 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **2 592 (ორი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი)** ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით სს „თიბისი ბანკისთვის“ გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2027 წლის 3 დეკემბრამდე ვადით;**
- **საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 592 (ორი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რკინიგზას ქუჩა N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 4 953 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N345 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 26 ივნისის განცხადებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა **მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.1), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.** ზემოაღნიშნული განცხადება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 12 ივლისის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის განკარგულებებით.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოხსენებული განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, 2023 წლის 22 სექტემბერს ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისთვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი თანხა - **1 258 317.60 (ერთი მილიონ ორასს ორმოცდათვრამეტი ათას სამას ჩვიდმეტი და სამოცი მეასედი) ლარი, დადგენილ ვადაში გადარიცხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 30 აპრილის განცხადებით დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით გადახდილი თანხის დაბრუნება, ვინაიდან აღარ ხორციელდება აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული კ-2 კოეფიციენტის (კ-2=2.1) ათვისება.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 12 ივლისის N23.1033.1160 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N345 განკარგულება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2545 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის** შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 5 მარტს დაინტერესებულმა პირმა წერილობითი განცხადებით მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და მის საკუთრებაში არსებულ, ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე, მცირე ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).** აგრეთვე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 ივნისის ბრძანებით **დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის **საბაზრო ღირებულება 2024 წლის 28 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 564 683 ლარს,** ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 31 მაისის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 312 936.60 (სამას თორმეტი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი და სამოცი მეასედი) ლარს.**

მომხსენებლისვე მითითებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი**

ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზრდა 2.5-დან 3.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 312 936.60 (სამას თორმეტი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი და სამოცი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა. განკარგულების პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში“ **ცვლილებების განხორციელებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“), სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 15 ივნისის ბრძანებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილ N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზეც სააგენტოს მიერ, დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, **მოეწყო სატრანსპორტო საშუალებების სპეციალური დაცული სადგომი,** რომლის მართვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განეკუთვნება სააგენტოს სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახურის უფლებამოსილებას. ამავე დროს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული ბრძანებით, სააგენტოს, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა **გელოვანის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე სრულდება სატრანსპორტო საშუალებების სპეციალური დაცული სადგომის მოწყობის სამუშაოები,** რომლის მართვაც ასევე უნდა განახორციელოს სააგენტომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასილ აბულაძის განმარტებით, დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში, ნაცვლად, სააგენტოს უფლებამოსილებისა - იქონიოს და მართოს სპეციალური დაცული სადგომი, მიეთითება სადგომების ნაწილი მრავლობით რიცხვში და განისაზღვრება შემდეგი სახით: იქონიოს და მართოს სპეციალური დაცული სადგომები“;

მომხსენებლისვე მითითებით, გელოვანის გამზირზე მდებარე დაცული სადგომის სააგენტოს მიერ ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სააგენტოს დებულებით დღეს მოქმედი სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახური გაიყოს ორ სამსახურად და მათ ეწოდოთ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილ N15-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის N1 სამსახური და გელოვანის გამზირზე მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის N2 სამსახური. შესაბამისად, ხსენებული ახალი სპეციალური დაცული სადგომების დადგენის გათვალისწინებით, **განისაზღვრა აღნიშნული ახალი სამსახურების უფლებამოსილებას მიკუთვნებული ღონისძიებებიც.**

ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნის** შესაბამისად, **დებულებაში ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვით სააგენტოს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი,** რომელიც ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსის წინაშე; ამასთანავე, **სააგენტოს უფროსს ენიჭება** უფლებამოსილება დაამტკიცოს სააგენტოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებთან დაკავშირებული ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების ინსტრუქცია და განსაზღვროს ვიდეო და აუდიო ჩანაწერების წვდომაზე, დამუშავებაზე, შენახვაზე, გაცემასა და წაშლაზე პასუხისმგებელი პირები.

აგრეთვე, როგორც მომხსენებელმა დასძინა, სააგენტოს იმ სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას/გამოწერას, უფლებამოსილების ეფექტურად შესრულების მიზნით ემატებათ **ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით განსახორციელებელი ქმედებების მართვის და კონტროლის ფუნქცია,** ასევე ამ მიზნით ამ **სამსახურების კომპეტენციის ფარგლებში სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან საჭირო ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილება.**

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ამასთანავე, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული

თანასწორობის მდგომარეობაზე. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, **დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივლისიდან.**

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა დებულების პროექტის მე-8 მუხლის მე-17 და მე-17[1] პუნქტებით გათვალისწინებული ახალი სამსახურების სახელწოდებების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე მათი ქვეპუნქტების სტილისტურად და შინაარსობრივად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს ზემოხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 3[1] პუნქტის ამოღებას, რომლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „თბილისი ენერჯი“, სს „თელასი“ და ამ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების (რომლის მოქმედების ვადა იქნება არანაკლებ 1 (ერთი) წელი) საფუძველზე შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები თავისუფლდებიან ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

ვასილ აბულაძის მითითებით, ზემოაღნიშნული პუნქტის ამოღება განპირობებულ იქნა იმ გარემოებით, რომ შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება, უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, სამუშაოების ჩატარების აქტუალობიდან/პრიორიტეტიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ ზემოაღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მთავრობა უფლებამოსილია განკარგულებით ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციები გაათავისუფლოს ამ წესით განსაზღვრული საფასურის გადახდისგან.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ამასთანავე, დადგენილება მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში“ ცვლილების განხორციელებას.**

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული დადგენილების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. ამ მუხლში მითითებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ მოეწყოს ავტობუსის გაჩერებისთვის ან სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა“.

როგორც ვასილ აბულაძემ განმარტა, დედაქალაქის ტერიტორიაზე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი სპეციალური ზოლების (bus lane) მომრავლებასთან ერთად, ასევე იზრდება ავტობუსის დამატებითი გაჩერებების მოწყობის საჭიროება, მათ შორის, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ისეთ შეზღუდვის ზონებში, რომელთა არსებობაც დაბრკოლებას წარმოადგენს გაჩერებების განთავსებისთვის. **ამის საილუსტრაციოდ, მომხსენებელმა მაგალითის სახით მოიხმო ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი,** რომლის მთელ მონაკვეთზე ვრცელდება განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა, მდინარის წყალდაცვითი ზონები, მდინარის შეტბორვის არეალები, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის მშენებლობის განხორციელებას; ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას წარმოადგენს ავტობუსის გაჩერებების არსებობა.

ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მატებასთან ერთად, ასევე იმატებს ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევებიც, რომლის დროსაც სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას. შესაბამისად, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან დროულად და ეფექტურად მოხდეს სპეციალურ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა და მათი უსაფრთხო განთავსება, აუცილებელია, ასეთი სადგომების არსებობა დედაქალაქის ისეთ ადგილებში, რომლებიც მისადგომად მარტივი და მოსახერხებელი იქნება, რათა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება იყოს მობილური.

მომხსენებლის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში 2024 წლის 29 მარტს შესული ცვლილებით ავტობუსის გაჩერებისთვის ან სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დასაშვები

გახდა ნებისმიერ ფუნქციურ ზონაში, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, თბილისის ტერიტორიაზე არსებული შეზღუდვის ზონები არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ავტობუსის გაჩერებები და სპეციალური დაცული სადგომები განთავსდეს მუნიციპალიტეტისთვის და საზოგადოებისთვის საჭირო და ხელსაყრელ ადგილებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილება გაამარტივებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას, სპეციალური დაცული სადგომების მოწყობაც გაზრდის მის ხელმისაწვდომობას.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ამასთანავე, დადგენილება მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებით, პირებს, რომელთა მიმართაც უბილეთო მგზავრობისთვის, უფლებამოსილი პირების მიერ, 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ივნისამდე შედგენილ იქნა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი და აღნიშნული ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და საურავი გადახდილ იქნა კანონით განსაზღვრულ ვადებში, თუმცა გადახდისას არ იქნა მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ხსენებული ჯარიმა/საურავი ჩაეთვლებათ გადახდილად და შესაბამისად, მათ მიმართ აღარ განხორციელდება გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ვასილ აბულაძემ აქვე დასძინა, რომ 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებით ზემოხსენებული ღონისძიებების განხორციელება განსაზღვრული იყო 2023 წლის პირველი ივლისიდან განკარგულების გამოქვეყნების თარიღამდე პერიოდში (2024 წლის 29 მარტი) შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე. თუმცა, **წარმოდგენილი განკარგულების პროექტით იზრდება აღნიშნული პერიოდი 2024 წლის 1 ივნისამდე.** აღნიშნული ცვლილება განპირობებულ იქნა ისეთი შემთხვევებით, როდესაც პირების მიერ საბანკო დაწესებულებებში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხდებოდა ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე, თუმცა არ იყო მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, რის გამოც ვერ ხდებოდა სამართალდამრღვევთა იდენტიფიცირება.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ყურადღება გაამახვილა საკანონმდებლო დონეზე შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავების საჭიროებაზე, რაც კიდევ უფრო მობილურს და პროაქტიულს გახდის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობას ამ მიმართულებით.

აგრეთვე, სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თარიღისა და ნომრის მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. არჩილ გორდულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების განხორციელებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ინიციირების წესით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოში, არსებული, მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (თანაშემწე) 7 (შვიდი) საშტატო ერთეული, (თანამდებობრივი სარგო - 2793 ლარი) მცირდება 2 საშტატო ნუსხით;**

- **ამასთანავე, ემატება - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) – 2 (ორი) საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო კი განისაზღვრება - 3325 (სამი ათას სამას ოცდახუთი) ლარით.**

არჩილ გორდულაძის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიზანია, საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა, რითაც, **საშტატო რიცხვოვნობა არ იცვლება.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის **33-ე მუხლის პირველ პუნქტზე,** რომლის თანახმადაც, **საჯარო დაწესებულება,** სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო ბიურო, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, ავიაკომპანია, აეროპორტი, სამედიცინო დაწესებულება, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, **ვალდებული არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.** ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ანგარიშვალდებული უნდა იყოს მაქსიმალურად მაღალი დონის მმართველობის სტრუქტურის წინაშე.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არჩილ გორდულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ამასთანავე, დადგენილება მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. არჩილ გორდულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო **კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55, **არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:**

ა) კომპენსაციის გაცემას „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის

გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ შემდეგ პირებზე:

ა.ა) სპარტაკ თეთრაშვილი – 120 000 (ას ოცი ათასი) აშშ დოლარი;
ა.ბ) ნაირა ხუციშვილი – 115 600 (ას თხუთმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარი.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების:

ბ.ა) დანართი N1-ით (თანხის სახით ვალდებულების გასტუმრების მსურველ პირთა მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036)) განსაზღვრულ პირებს დაემატოს მზია ჟორჟოლიანი. ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ თანხად განისაზღვრება - 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი.

ბ.ბ) დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შემდეგი პირები:

ბ.ბ.ა) თამარ ჩაკვეტაძე;
ბ.ბ.ბ) დავით ბაჩიაშვილი.

გ) ამ განკარგულების „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გავრცელდეს ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების მე-9 და მე-11 პუნქტები;

დ) კომპენსაცია გაიცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირზე - ქეთევან ალიმბარაშვილზე – 7 402 ევრო (შვიდი ათას ოთხასორი) ევრო;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული პირის - ხათუნა გოგიჩაიშვილის მიერ დათმობილი უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.019.003.01.502) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრული იურიდიული პირის - სს „თიბისი ბანკის“ ანგარიშზე ჩაირიცხოს 58 353 (ორმოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდაცამეტი) აშშ დოლარი;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული პირის - გიორგი თევზაძის მიერ დათმობილი უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.025.039.01.01.019) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „თი ბი სი“ ბანკის ანგარიშზე ჩაირიცხოს 75 533 (სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოცდაცამეტი) აშშ დოლარი.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის დღეს არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, გაცვლითი კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში.

არჩილ გორდულაძემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ **წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37; ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N23.2153.2405, 27.12.2023) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N641, 28.12.2023). **ამასთანავე, აღნიშნულ გადაწყვეტილებებში შემდგომში დაზუსტდა შესაბამის პირთა (დაზარალებულთა) მონაცემები.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით, დაზარალებული პირების შესახებ არსებული ინფორმაციის და მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, მათ შორის, მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაზარალებული პირების გარკვეული ნაწილის მიმართ განხორციელდეს თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია;
- დანართი N5-ით განისაზღვრა იმ პირთა სია, რომლებიც არიან ვალდებულებების თვალსაზრისით ურთიერთდაკავშირებული პირები;
- დანართი N6-ით განისაზღვრა ის კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთა მიმართაც დაზარალებულ პირთა გარკვეულ ნაწილს და ასევე, - შპს „ათორს" და მასთან აფილირებულ კომპანიებს გააჩნიათ ფინანსური ვალდებულებები;
- დანართი N5-ით გათვალისწინებული პირების მიმართ ვალდებულების გასტუმრება, დანართი N5 ან/და დანართი N6-ით გათვალისწინებული პირებისათვის თანხის ანაზღაურებით, მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დანართი N5-ით გათვალისწინებული შესაბამისი პირის საკუთრებაში/მფლობელობაში/ფაქტობრივად სარგებლობაში არსებული (მათ შორის ადრე არსებული) ფართი გახდება უფლებრივად უნაკლო (ამასთანავე, ეს ფართი დაკავშირებული უნდა იყოს შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ან მათი ხელმძღვანელი პირ(ებ)ის მიერ დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში წარმოშობილ დაზარალებულების პროცესთან), რაც, თავის მხრივ, მათ შორის, დადასტურდება შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ან მათი ხელმძღვანელი პირ(ებ)ის ან/და ამ განკარგულების დანართი N5-ით და დანართი N6-ით გათვალისწინებული შესაბამისი ურთიერთდაკავშირებული პირების შესაბამისი თანხმობებით. ამ განკარგულების მიღებისას, გათვალისწინებულ იქნას ამ განკარგულების დანართი N6-ით გათვალისწინებული პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/წინადადება.

არჩილ გორდულაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან შპს ,,ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, შემდეგ მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37; ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 დაზარალებულთა იდენტიფიცირებისას **დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის აპარატი დაეყრდნო ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილ იქნა დაზარალებულად ცნობილ პირთა შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქმეზე გამოიკვეთა გარკვეული გარემოებები, რაც საჭიროებს გამოძიების მხრიდან ცალკე შეფასებას, საქმეზე ამ ეტაპზე დაზარალებულად ცნობილ ცალკეულ პირებთან დაკავშირებით ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. შესაბამისად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის შესაბამის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში საგამოძიებო მოქმედებების ამოწურვამდე მიზანშეწონილია არ გატარდეს შესაბამისი ღონისძიება დაზარალებულად ცნობილ გარკვეულ პირებთან მიმართებით. **შესაბამისად, მომხსენებლისვე მითითებით,** პროკურატურის მიერ წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხელშემწყობი ღონისძიებები განისაზღვრა მხოლოდ შესაბამის დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის განკარგულება N641).

არჩილ გორდულაძემ აქვე დასძინა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიას, თბილისის პროკურატურის მიერ, წარედგინა განახლებული/დამატებითი ინფორმაცია შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში გარკვეულ დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, აღნიშნული პირებიდან დაზარალებულად ცნობილ რამდენიმე პირთან მიმართებით (მზია ჟორჟოლიანი; დავით ბაჩიაშვილი და თამარ ჩაკვეტაძე), დღეის მდგომარეობით, შესწავლილია საქმე და მათ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ზიანის ანაზღაურების შემაფერხებელი გარემოება.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული გარკვეული პირების მიმართ დგინდება შემდეგი:

- სპარტაკ თეთრაშვილი თბილისის პროკურატურის მიერ **დაზარალებულად ცნობილია 120 000 (ას ოცი ათასი) აშშ დოლარის ნაწილში;**
- ნაირა ხუციშვილი თბილისის პროკურატურის მიერ **დაზარალებულად ცნობილია 115 600 (ას თხუთმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ნაწილში;**
- ხათუნა გოგიჩაიშვილი **დაზარალებულად ცნობილია 71 000 (სამოცდათერთმეტი ათასი) აშშ დოლარის ნაწილში.** ხათუნა გოგიჩაიშვილი ითხოვს მის მიერ დათმობილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან და მის საკუთრებაში დაბრუნებას. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში, არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;
- ქეთევან ალიმბარაშვილი **დაზარალებულად ცნობილია 66 300 (სამოცდაექვსი ათას სამასი) აშშ დოლარის ნაწილში.** აღნიშნული დაინტერესებული პირის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ შესრულდება პროკურატურის მიერ დაზარალებულად აღიარების ცნობით განსაზღვრული ვალდებულება 66 300 (სამოცდაექვსი ათას სამასი) აშშ დოლარი - საბანკო დაფარვით, გამოთქვამს მზაობას, რომ განახორციელოს ყველა ქმედება, აღნიშნული უძრავი ქონების იპოთეკური ვალდებულებისაგან გათავისუფლებისთვის. ამასთანავე, არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ. ქეთევან ალიმბარაშვილთან დაკავშირებით, სს „თიბისი

ბანკის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქეთევან ალიმბარაშვილის მიერ გადახდილია 7402 (შვიდი ათას ოთხას ორი) ევრო, რაც შეადგენს 7947 (შვიდი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი) აშშ დოლარს. შესაბამისად, ბანკი თანახმაა, რომ 58353 (ორმოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდაცამეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის სს „თიბისი ბანკის“ ანგარიშზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დღეს არსებული ეროვნული კურსით, მოხსნას იპოთეკა უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენს ქეთევან ალიმბარაშვილის სესხის უზრუნველყოფას;

- გიორგი თევზაძემ შპს „ათორის“ მშენებარე კორპუსში ფართის შეძენის მიზნით თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცა შპს „საინვესტიციო დეველოპერულ კომპანია ათორს.“ დაინტერესებული პირის მიერ დათმობილი უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკის უფლებით სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ, გიორგი ჩხიკვაძის და ანნა ფიფიას მიერ შპს „ათორის“ მშენებარე კორპუსში ფართის შეძენის მიზნით აღებული იპოთეკური სესხის ფარგლებში. გარდა სს „თიბისი ბანკის“ იპოთეკისა, აღნიშნული უძრავი ნივთი, როგორც შპს „საინვესტიციო დეველოპერულ კომპანია ათორის“ საკუთრება, დაყადაღებულია და მასზე ასევე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. **გიორგი თევზაძე ითხოვს მის მიერ დათმობილი უძრავი ქონების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას და საკუთრებაში დაბრუნებას.** ამასთან, იგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;
- გიორგი ჩხიკვაძემ და ანნა ფიფიამ შპს „ათორის“ მშენებარე კორპუსში ფართის შეძენის მიზნით, სს „თიბისი ბანკის“-სგან აიღეს იპოთეკური სესხი. გიორგი ჩხიკვაძე და ანნა ფიფია **დაზარალებულად ცნობილი არიან 92 120 (ოთხმოცდათორმეტი ათას ას ოცი) აშშ დოლარის ნაწილში.** აღნიშნული დაინტერესებული პირები გამოთქვამენ თანხმობას მიიღონ შპს „ათორთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის შესაბამისი კვადრატულობა მისამართზე - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N36. ამასთანავე, ისინი გამოთქვამენ მზაობას გადაიხადონ ხელშეკრულების შესაბამისად დარჩენილი თანხა მშენებლობის დასრულებამდე. სს „თიბისი ბანკის“ წერილის თანახმად, ანნა ფიფიას საბანკო კრედიტის საფუძველზე გადახდილი კლიენტის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე, გადახდილი აქვს 15451 (თხუთმეტი ათას ოთხას ორმოცდათერთმეტი) ევრო, რაც შეადგენს 16587 (თხუთმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაშვიდი) აშშ დოლარს. შესაბამისად, ბანკი თანახმაა 75533 (სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოცდაცამეტი) აშშ დოლარის, ექვივალენტ ლარის „თიბისი ბანკის“ სატრანზიტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დღეს არსებული ეროვნული კურსით, მოხსნას იპოთეკა უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენს ანნა ფიფიას სესხის უზრუნველყოფას.

შესაბამისად, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია: მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N 4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების/უძრავი ქონების ვალდებულებებისაგან გათავისუფლების მიზნით, წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, დაზარალებული პირთა მიმართ შესრულებულიყო ფინანსური ვალდებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არჩილ გორდულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია,

მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37; ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით გატარდეს ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 მუხლის ტექნიკურად გამართვისა და მისი სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **არჩილ გორდულაძე**

სხდომის მდივანი **ნინო დანელიშვილი**